ევროკავშირი საქართველოსთვის

NETHERLANDS HELSINKI COMMITTEE

Hertie School Executive Education

GEORGIAN DEMOCRACY INITIATIVE

ადამიანის უფლებებზე მონიტორინგისა და ადვოკატირების შესაძლებლობების გაძლიერება საქართველოში

3 ოქტომბერი, 2024

მონიტორინგის მოკლე ანგარიში საპროტესტო აქციების მონაწილეთა მიმართ განხორციელებულ წამებასთან და არაადამიანურ მოპყრობასთან დაკავშირებით

პროექტით - „ადამიანის უფლებებზე მონიტორინგისა და ადვოკატირების შესაძლებლობის გაძლიერება საქართველოში", ადამიანის უფლებათა ცენტრი აკვირდება თბილისში მიმდინარე შეკრებებსა და მანიფესტაციებს და უზრუნველყოფს საზოგადოების ინფორმირებას როგორც საპროტესტო აქციებზე განვითარებული მოვლენების, ისე მათი მიმდინარეობისას სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ განხორციელებული ქმედებების ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ.

2024 წლის 3 აპრილს, მმართველმა პარტიამ - „ქართულმა ოცნებამ" ხელახლა დააინიციირა კანონი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ",[1] რასაც საზოგადოების ფართომასშტაბიანი და უწყვეტი საპროტესტო აქციები მოჰყვა.[2] პროტესტის ძირითად ადგილს რუსთაველის გამზირი და საქართველოს პარლამენტის მიმდებარე ტერიტორია წარმოადგენდა. ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორები პირველივე დღიდან აკვირდებოდნენ აქციების მიმდინარეობას, აწარმოებდნენ აქციის მსვლელობისას განვითარებული მოვლენების ფოტო-ვიდეო დოკუმენტირებას, აღწერდნენ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა დიდი რაოდენობით მობილიზების, აქციაზე მომხდარი ცალკეული ინციდენტების აღმოსაფხვრელად არაპროპორციული ძალის გამოყენების, აქციის მონაწილეთა უკანონო დაკავებებისა და სამსახურებრივი უფლებამოსილების სავარაუდო გადამეტების შემთხვევებს.[3] აღსანიშნავია, რომ სხვა საპროტესტო აქციებისგან განსხვავებით, „რუსული კანონის" წინააღმდეგ გამართული შეკრებების მონიტორინგისას იდენტიფიცირებული უფლებადარღვევების პარალელურად, სისტემური

[1] საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი: „უცხოური გამჭვირვალობის შესახებ" კანონპროექტის განხილვის პროცედურები. ხელმისაწვდომია: https://parliament.ge/legislation/28355 [03.04.2024].

[2] Civil.ge, სიახლეების ბლოგი: *„კი ევროპას, არა რუსულ კანონს" – აქციები „უცხოელი აგენტების" შესახებ კანონპროექტის წინააღმდეგ*, 2024 წლის 5 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/601241 [26.06.2024].

[3] ადამიანის უფლებათა ცენტრი, *მონიტორინგის მოკლე ანგარიში 15–17 აპრილის აქციებთან დაკავშირებით*, 2024 წლის 29 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://www.hrc.ge/640/geo/ [27.08.2024].

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ადამიანის უფლებათა ცენტრი და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

პრობლემების სახით გამოიკვეთა: ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებით, საპროტესტო აქციების მონაწილეთა და უფლებადამცველთა მიმართ ხელისუფლების მიერ აგორებული „შიდა მტრის“ ნარატივი,[4] დეზინფორმაციის ბინძური კამპანია, აქციის მონაწილეთა და უფლებადამცველთა წინააღმდეგ გამოყენებული დაშინების, მუქარისა და ფიზიკური ძალადობის შემთხვევები (მათ შორის - საცხოვრებელ სახლებთან) და მუქარის შემცველი ანდა შეურაცხმყოფელი სატელეფონო ზარები.[5]

სხვა უფლებადარღვევების გარდა, განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევდა აქციის მონაწილეთა მიმართ დაკავების პროცესში, ანდა დაკავების შემდეგ, დროებითი მოთავსების იზოლატორში გადაყვანისას არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ფაქტები, რაც რიგ შემთხვევაში უთანაბრდებოდა წამებას.[6]

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, „ადამიანის ღირსება ხელშეუვალია და მას იცავს სახელმწიფო“.[7] კონსტიტუცია კრძალავს ადამიანის წამებას, არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას, არაადამიანური ანდა დამამცირებელი სასჯელის გამოყენებას,[8] რაც, ასევე, ასახავს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის[9] შინაარსს. ამ ნორმის მიზნებისთვის, წამება არ უნდა განიმარტოს მხოლოდ როგორც კონკრეტული ადამიანის ქმედება სხვა პირთა მიმართ ანგარიშსწორების, ინფორმაციის მიღების ან აღიარებითი ჩვენების მოპოვების მიზნით. „მისი გამოყენება შესაძლოა მოხდეს სხვა, უფრო მასშტაბური მიზენებისთვისაც, როგორიცაა, მაგალითად, საზოგადოებაში შიშის დანერგვა,[10] რაც შეიძლება მიღწეული იქნას მიზანმიმართული დანაშაულებრივი ქმედებებით - წამებით. აქედან გამომდინარე, თანამედროვე სამართლის მოთხოვნებისთვის ის,

---

[4] ადამიანის უფლებათა ცენტრისა და OMCT/FIDH - უფლებადამცველთა დაცვის ობსერვატორიის ერთობლივი განცხადება, *უფლებადამცველების მდგომარეობის სერიოზული გაუარესება საქართველოში,* 2024 წლის 26 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://www.hrc.ge/666/geo/ [27.08.2024].

[5] პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის განცხადება, ხელმისაწვდომია: https://www.interpressnews.ge/ka/article/800682-personalur-monacemta-dacvis-samsaxuri-mukaris-shemcveli-zarebi-mokalakeebtan-araaktiuri-satelepono-nomrebidan-ganxorcielda-ristvisac-gaqalbebis-sistema-gamoiqenes-sakme-prokuraturas-gadaegzavna/ [24.05.2024]

[6] უფლებადამცველი ორგანიზაციების საერთო განცხადება: 30 აპრილი - 1 მაისის აქციის დარბევის სამართლებრივი შეფასება, ხელმისაწვდომია: https://www.hrc.ge/641/geo/ [27.08.2024].

[7] საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის პირველი პუნქტი.

[8] იქვე, მეორე პუნქტი.

[9] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-3 მუხლი.

[10] ნეტგაზეთი, *სპეცრაზმის უფროსი ჟურნალისტს: მე ვცემ არაკაცებს, სია გვაქვს,* 2024 წლის 28 მაისი, ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/life/724434/ [27.08.2024]

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ადამიანის უფლებათა ცენტრი და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

რაც ადრე მიჩნეული იყო მხოლოდ არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობად, ახლა შესაძლოა შეფასდეს, როგორც წამება“.[11]

გარდა სამართალდამცავთა მხრიდან ძალის გადამეტებისა, შეკრებისა და გამოხატვის უფლების განხორციელებაში უხეში ჩარევებისა, ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, საერთაშორისო სტანდარტებიდან გამომდინარე, ყველა სახის საპოლიციო ძალის გამოყენება პრობლემას წარმოადგენდა შეკრების ფასილიტაციის პროცესში, რამდენადაც ეს ქმნიდა ესკალაციის საფრთხეს და ხშირად - არაპროპორციული ძალის გამოყენების წინაპირობასაც. საპატრულო პოლიციის გარდა, „რუსული კანონის“ წინააღმდეგ გამართულ აქციებზე მობილიზებულნი იყვნენ შსს-ს სხვა დანაყოფების წარმომადგენლებიც — მათ შორის: განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტი (შემდგომში „გდდ“), მართლწესრიგის ოფიცრები, კრიმინალური პოლიცია და სხვა. ამასთან, ზოგ შემთხვევაში, შეკრების ადგილზე იმყოფებოდნენ არაიდენტიფიცირებადი პირები, რომლებიც, როგორც ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორების ანგარიშებიდან იკვეთება, შსს-ს ქვედანაყოფებთან აქტიურ კომუნიკაციაში იყვნენ. ისინი იღებდნენ აქციის აქტიური მონაწილეების და ორგანიზატორების ფოტოებს და ვიდეოებს. გარდა ამისა, ისინი აწვდიდნენ ინფორმაციას გდდ-ს ხელმძღვანელ პირებს, რის შემდეგაც იწყებოდა აქციის მონაწილეთა მიზანმიმართული დევნა, ადმინისტრაციული დაკავება და ხშირ შემთხვევაში - ფიზიკური ძალადობა, მას შემდეგაც კი როდესაც კონკრეტული პირის დაკავების პროცესი უკვე დასრულებული იყო. დაკავების შემდეგ ფიზიკური ანგარიშსწორების, არაადამიანური მოპრყობის მსხვერპლნი გახდნენ როგორც სამოქალაქო აქტივისტები, ისე ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები.

ანტისაოკუპაციო მოძრაობის - „ძალა ერთობაშია“ დამფუძნებელი, დავით ქაცარავა, 14 მაისს პარლამენტის შენობის წინ დააკავეს. დაკავებამდე ის სიტყვით მიმართავდა შეკრებილ სამართალდამცავებს, რა დროსაც მისკენ დაიძრნენ ნიღბიანი სპეცრაზმელები, ყოველგვარი შემხვედრი წინააღმდეგობის გაწევის გარეშე დააკავეს და წაიყვანეს დაკავების მანქანისაკენ. მოგვიანებით კი მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ დავით ქაცარავა სასტიკად იყო ნაცემი თავისა და სახის არეში. ის გადაიყვანეს კლინიკაში, სადაც ჩაუტარდა რამდენიმე ოპერაცია. როგორც აქტივისტი აცხადებს, მას შემდეგ, რაც ის დააკავეს, ხელბორკილებით

[11] საქართველოს უზენაესი სასამართლო, *წამების აკრძალვა: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე–3 და მე–6 მუხლებით გათვალისწინებული სტანდარტების ასახვა ეროვნულ სასამართლო პრაქტიკაში*, 2019, რედ. მარინე კვაჭაძე, ხელმისაწვდომია: https://www.supremecourt.ge/uploads/files/1/pdf/adamianis-uflebata-centri/wamebis-akrzalva-me3-me6-muxlebit.pdf [27.08.2024].

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ადამიანის უფლებათა ცენტრი და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

შეუკრეს ხელები, მოაქციეს წრეში და დაიწყეს მისი ცემა, რაც რამდენჯერმე განმეორდა. ცემის შემდეგ მას უღებდნენ ვიდეოს და აყენებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას.

„მოპყრობის“ სიმძიმის ხარისხის შეფასებისთვის, ყურადღება უნდა გამახვილდეს მოპყრობის შინაარსზე, ფორმაზე, ხანგრძლივობაზე, ფიზიკურ და სულიერ ზიანზე, ზოგჯერ კი სქესზე, ასაკზე და ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იქნეს არამარტო ობიექტური გარემოებები, არამედ სუბიექტური შეფასება მსხვერპლის მხრიდან, ისევე, როგორც საზოგადოების დამოკიდებულება და ტოლერანტობის ხარისხი ამა თუ იმ აქტის მიმართ. შესაბამისად, დავით ქაცარავას წინააღმდეგ განხორციელებული ფიზიკური ძალადობის ინტენსივობა და ხანგრძლივობა, სავარაუდოდ, უტოლდება წამებას.

დაკავების დროს, ასევე, სასტიკად სცემეს პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერს - ლევან ხაბეიშვილს, და პარტია „მოქალაქეების“ თავმჯდომარეს - ალეკო ელისაშვილს. ორივე შემთხვევაში იკვეთება დაკავების პროცესში ძალის გადამეტებისა და არაადამიანური მოპყრობის ნიშნები. ამ შემთხვევებთან დაკავშირებით საქმეს იძიებს სპეციალური საგამოძიებო სამსახური ძალადობით სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტების მუხლით.

სამართალდამცავების მიერ მშვიდობიანი აქციის მონაწილეთა მიმართ არაპროპორციული ძალის გამოყენების, ფიზიკური ძალადობის, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ფაქტები მოექცა საქართველოს სახალხო დამცველის და საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციების განცხადებებში, მათ შორის ნახსენებია სპეციალური საშუალებების ფორმად სავარაუდო აკრძალული არალეტალური იარაღიდან თურქული წარმოების რეზინის ტყვიების გამოყენება. „სხვადასხვა გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, 2024 წლის აპრილის შუა რიცხვებიდან მოყოლებული, პოლიციის მიერ მშვიდობიანი აქციის მონაწილეთა ძალადობრივი დარბევის დროს, სულ მცირე, 300 ადამიანი იქნა დაკავებული, ათობით მომიტინგეს სასტიკად სცემეს დაკავებისას და იზოლატორებში გადაყვანის დროს. დაკავებული პირები უმეტესწილად, ვერ სარგებლობდნენ მინიმალური საპროცესო უფლებებით, სამართალდამცავები არ უმარტავდნენ მათ დაკავების მიზეზს, არ ეძლეოდათ ადვოკატებთან ანდა ოჯახის წევრებთან კომუნიკაციის საშუალება, ზოგ შემთხვევაში მათთვის არ იყო ხელმისაწვდომი დროული და ადეკვატური სამედიცინო დახმარება. დაკავებულთა ადგილსამყოფელის შესახებ დიდი ხნის განმავლობაში არ ქონდათ ინფორმაცია უფლებადამცველებს და ოჯახის წევრებს.

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ადამიანის უფლებათა ცენტრი და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლების მიერ ადამიანის უფლებათა ცენტრისთვის მოწოდებული ინფორმაციის თანახმად,[12] სახალხო დამცველის მონიტორებმა, საკუთარი მანდატის ფარგლებში, „რუსული კანონის" წინააღმდეგ გამართული აქციების დროს დაკავებული 183 პირი მოინახულეს, მათგან 95 აღნიშნავდა, რომ მათ მიმართ დაკავების პროცესში ან/და იზოლატორში გადაყვანამდე განხორციელდა ფიზიკური ძალადობა. დაკავებულები ასევე მიუთითებდნენ ფსიქოლოგიურ ძალადობაზე, არაადამიანურ და ღირსების შემლახავ მოპყრობაზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია 30 აპრილის, 1 და 13 მაისის მშვიდობიანი აქციის უკანონო და არაპროპორციული ძალის გამოყენებით დარბევა.[13] სამივე შემთხვევაში, თავად შეკრების შეწყვეტა და სამართალდამცავთა მიერ სპეციალური საშუალებების გამოყენება იყო უკანონო, რადგან არც ერთ აქციას არ მიუღია იმგვარი კანონსაწინააღმდეგო ხასიათი, რომელიც სამართალდამცავთა მხრიდან პროტესტის შეწყვეტას გაამართლებდა. სამართალდამცველებმა აქციის დასაშლელად ფიზიკური ძალა და სპეციალური საშუალებები როცა გამოიყენეს, არ არსებობდა აქციის დაშლის სამართლებრივი საფუძველი; პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე, სამართალდარღვევების სპორადული ხასიათიდან გამომდინარე, საპოლიციო ძალების მიერ გამოყენებული სპეციალური ღონისძიებები არ შეიძლება ჩაითვალოს პროპორციულად.

<u>ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მივმართავთ რეკომენდაციით:</u>

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:

- აქციის ფასილიტაციის პროცესში ჩართოს მხოლოდ შესაბამისი კომპეტენციის მქონე დანაყოფები და აქციის ფასილიტაციისთვის გადამზადებული კადრები;

---

[12] "ადამიანის უფლებათა ცენტრის" წარმომადგენლების შეხვედრა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის – უფლებადარღვევების პირველადი შემოწმების დეპარტამენტის და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის წარმომადგენლებთან. 11.07.2024

[13] რადიო თავისუფლება, *წიხლები და მუშტები ხელებშეკრულ დემონსტრანტებს - წახალისებული ძალადობა?*, 2024 წლის 13 მაისი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%A8%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%99%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9A-%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A1/32944352.html [27.08.2024].

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ადამიანის უფლებათა ცენტრი და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

- არ დაუშვას აქციის მონაწილეთა მიმართ „დევნის ოპერაციები“, მათი ფიზიკური ანგარიშსწორებისა და დათრგუნვის მიზნით, რაც იქონიებს მსუსხავ ეფექტს შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებაზე;

- აღმოფხვრას აქციის მონაწილეთა მიმართ ფიზიკური ძალადობა დაკავების პროცესში და დაკავების შემდგომ;

- დაემორჩილოს წამებისა და არაადამიანური მოპყრობის უნივერსალურ აკრძალვას აქციის ფასილიტაციის პროცესში, აქციის მონაწილეთა დაკავებისა და დაკავების შემდგომ პერიოდში;

- პატივი სცეს შეკრების თავისუფლებას და არ დაუშვას საპროტესტო აქციების დაშლა ლეგიტიმური მიზნისა და კანონით განსაზღვრული საფუძვლის გარეშე;

- დაემორჩილოს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებსა და საერთაშორისო სტანდარტებს შეკრების ფასილიტაციის პროცესში და არ დაუშვას სპეციალური საშუალებების გამოყენება არაპროპორციულად, კანონის მიერ განსაზღვრული საფუძვლისა და ლეგიტიმური მიზნის გარეშე.

სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს:

- უზრუნველყოს შსს-ს თანამშრომლების მხრიდან აქციის მონაწილეთა მიმართ განხორციელებული წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ფაქტების დროული, სრულყოფილი და ობიექტური გამოძიება;

- უზრუნველყოს შსს-ს თანამშრომლების მიერ უფლებამოსილების სავარაუდო გადამეტების ფაქტების გამოძიება;

- მაღალი საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, საზოგადოებას პერიოდულად, პროაქტიულად მიაწოდოს ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ.

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ადამიანის უფლებათა ცენტრი და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.